"უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის" (უსმა/USMA) კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოვება

მიმდინარე წლის 25 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ,,უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის" (უსმა/USMA) პროექტის ,,მეცნიერება მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხოებისათვის" ფარგლებში, საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომების გამოსავლენი კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოება. ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ასოციაციის თავმჯდომარემ ბესიკ ობოლაძემ. (იხ. ვიდეო)

კონკურსში გამარჯვებული საუკეთესო ნაშრომების ავტორებს, პროფესორებს: ვლადიმერ პაპავას, ვახტანგ ჭარაიას (იხ. ვიდეო) და ეკა ლეკაშვილს გადაეცათ ასოციაციის მიერ დაწესებული საპატიო პრიზი და სერთიფიკატი.

კონკურსში გამარჯვებულებს ასოციაციის საპატიო პრიზი და სერთიფიკატი გადასცეს: ასოციაციის თავმჯდომარემ ბესიკ ობოლაძემ, ასოციაციის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ შოთა დოღონაძემ და ასოციაციის საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარემ გოჩა ცოფურაშვილმა. კონკურსში გაიმარჯვა ასევე პროფესორ თენგიზ ვერულავას ნაშრომმა. კონკურში გაიმარჯვა აგრეთვე ნოდარ ხადურის ნაშრომმა (სიკვდილის შემდეგ).ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო პროფესორ ნოდარ ხადურის ხსოვნას.

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართეს პროფესორებმა: შოთა დოღონაძემ, გოჩა ცოფურაშვილმა (იხ. ვიდეო), თათია დოლიძემ (იხ. ვიდეო).

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ანთაძე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ასოციაციის პრეზიდიუმის წევრები, პროფესორები: ნუნუ ოვსიანიკოვა, ალიკა გუჩუა, არჩილ ბარბაქაძე, დავით სიხარულიძე, დავით ობოლაძე. მოწვეული სტუმრები: ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, დაცვის სამსახურ ,,მაგისტრი"-ს დამფუძნებელი, თორნიკე ჯოჯუა და პროფესორი რამაზ ობოლაძე.

ღონისძიება მიჰყავდა ასოციაციის პროექტების კოორდინაციისა და მონიტორინგის ცენტრის ხელმძღვანელს თამარ ახალკაციშვილს.

(იხ. ღონისძიების ვიდეოკოლაჟი)